პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის -- --------- ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ,,ბ.დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა :**

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დამტკიცებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულო და საპროცედურო საკითხტა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

ა) თემურ კახიძე _ კომისიის თავმჯდომარე;
ბ) სულიკო თებიძე _ კომისიის წევრი;
გ) ნატალია ზოიძე _ კომისიის წევრი;
დ) ირაკლი პატარიძე _ კომისიის წევრი;
ე) დიმიტრი ჭეიშვილი _ კომისიის წევრი;
ვ) ნერიმან ცინცაძე _ კომისიის წევრი;
ზ) მირდატ ქამადაძე _ კომისიის წევრი;
თ) რაულ თავართქილაძე _ კომისიის წევრი;
ი) არჩილ მამულაძე _ კომისიის წევრი.
კ) ომარ მახარაძე- კომისიის წევრი.“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წინამდებარე პროექტის მიღება გამომდინარეობს იქედან რომ ომარ მახარაძე დღეის მდგომარეობით არის საკრებულოს მუდმივმოქმედ ერთ კომისიის შემადგენლობაში რადგანაც თვიმართველობის კოდექსი იძლევა შესაძლებლობას საკრებულოს წევრი იმყოფებოდეს არაუმეტეს ორ კომისიაში გამომდინარე აქედან მისი სურვილია შევიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის იურიდიოულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობაში კომისიის წევრად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) **პროექტის ავტორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთ კომისია

ვ) **პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - იურიდიული განყოფილება.

ზ) **განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთ კომისიის უფროსი სპეციალისტი პაატა შარაძე